საქართველოს შრომის ჯანმრთელობის
და სოციალური დაცვის სამინისტრო

ა.ა.ი.პ ბაღდათის საზოგადოებრივი
ჯანდაცვის ცენტრი
ქ.ბაღდათი.რუსთაველის ქ. 24
ტ:595.956.138,
595.658.

MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND
SOCIAL PROTECTION OF GEORGIA

The Centre of Public Health
OF BAGHDATI DISTRICT

1000, GEORGIN,BAGHDATI
RustaveliStreed 24
T: 595.956.138,
595.658.758

№279
27.07.20

ინფორმაცია ახალი კორონა ვირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის
და აღკვეთის მიზნით ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის
ცენტრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

წარმოგიდგენთ ინფორმაციას ახალი კორონა ვირუსის (covid-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის და აღკვეთის მიზნით ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ.

როგორც ცნობილია 2019 წლის დასაწყისში ჩინეთში ჰუბეის პროვინციის ქალაქ უჰანში დაფიქსირდა მწვავე მძიმე რესპირატორულ სინდრომთან დაკავშირებული კორონავირუსი2 იგივე SARS-COV-2,რომელიც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ თავდაპირველად SARS-COV-2-ად მოიხსენია,შემდგომში ოფიციალურად COVID-19 უწოდა. ვირუსი სწრაფად გავრცელდა ჩინეთის საზღვრებს გარეთ და ჯანმომ აღნიშნული ვითარება 2020 წლის 30 იანვარს საერთძორისო საზოგადოებრივი ჯანდაცვის საგანგებო მდგომარეობად გამოაცხადა, ხოლო 11 მარტს პანდემიად შეაფასა.- ეს 21 საუკუნის მესამე ზონოზური კორონავირუსული აფეთქებაა, როდესაც მოხდა ადამიანიდან ადამიანზე გადაცემა და ჯანმრთელობის გლობალური პრობლემების წარმოქმნა.

მიუხედავად იმისა, რომ COVID-19-ს ახასიათებს გადაცემის მაღალი სიხშირე,გამოვლენილ შემთხვევაში დაავადების მიმდინარეობა სიმძიმის მიხედვით საკმაოდ განსხვავებულია-უსიმტომოდან ფატალურ შედეგამდე, გასათვალისწინებელია ასაკი, ქრონიკული დაავადებები და სხვა ფაქტორები.

პანდემიის პრევენციისა და აღკვეთის მიზნით საქართველოსმთავრობის მიერ გამოცემული არაერთი განკარგულების და ბრძანების აგრეთვე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული ბრძანებების და რეკომენდაციების საფუძველზე მთელ ქვეყანაში დაიწყო შემაკავებელი ღონისძიებების გატარება, მათ შორის ბაღდათის მუნიციპალიტეტშიც, სადაც ამ ღონისძიებების შემსრულებელი ძირითადად არის ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი სხვა შესაბამის უწყებებთან ერთად. პირველი ამოცანა რაც იყო ჩვენს წინაშე დასმული ეს იყო დისტანცია და თვითიზოლაცია, ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა რისკის ქვეყნიდან ჩამოსული მოქალაქეების თვითიზოლაციაში გადაყვანა დაიწყო15 თებერვლიდან,სულ გადაყვანილი იქნა 74 პიროვნება,რომლებზეც დამყარებული იყო ეპიდემიოლოგების მიერ ზედამხედველობა ადგილზე მონიტორინგით ან სატელეფონო მონიტორინგით- თერმოსკრინინგით და სიმტომების გამოკითხვით.ადგილზე მონიტორინგი ხორციელდებოდა პოლიციის ეკიპაჟთან ერთად. 74 პირიდან 9 გადაყვანილი იქნა საკარანტინე სივრცეში, რომელთაგან 3 დაარღვია თვითიზოლაციის წესი, 6 ტემპერატურის გამო ჯერ გადაყვანილი იქნა ცხელების ცენტრში, შემდეგ კარანტინში, 1 თვთიზოლაციაში მყოფმა პირმა

მიიყენა თვით დაზიანება(დამწვრობა), რომელიც გადაყვანილი იქნა დამწვრობის ცენტრში, სადაც გარდაიცვალა.
თვითიზოლაციაში ეპიდემიოლოგების ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა აგრეთვე 40 პაციენტი, რომლებიც გამოეწერა ცხელების ცენტრიდან,სულ თვითიზოლაციაში იყო 114პირი.

ბაღდათის მუნიციპალიტეტში COVID-19-ის 1 Sემთხვევა დაფიქსირდა 2020 წლის 9 აპრილს სოფელ შუბანში, პაციენტი იყო ქუთაისის მცხოვრები და სტუმრად დადიოდა მშობლებთან კონტაქტში ყავდა 24 პირი, აქედან 1 იყო მარკეტის კონტაქტი, 5 აფთიაქის, 18 მეზობლური კონტაქტები, ეპიდემიოლოგების მიერ შეფასდა კონტაქტების თვითიზოლაციის პირობები, აღმოჩნდა რომ 3-ს არ ჰქონდა შესაბამისი პირობები და დადაყვანილი იქნა საკარანტინე სივრცეში,დანარჩენი დატოვებული იქნა თვითიზოლაციაში ეპიდემიოლოგის ზედამხედველობის ქვეშ 14 დღის განმავლობაში.

მუნიციპალიტეტში კურორტ საირმეში შექმნილი იყო საკარანტინე სივრცე, სსტუმრო ,,საირმეში'' და ,,ბესტ ვესტელში"სადაც რისკის ქვეშ მყოფი ქვეყნებიდან ჩამოსული ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები იმყოფებოდნენ 14 დღიანი ზედამხედველობის ქვეშ.შესაბამისად აქაც ხდებოდა ცხელებიანი პაციენტების გადაყვანა ცხელების ცენტრში, გატესტვა და შედეგის მიხედვით უკან დაბრუნება ან მკურნალობის გაგრძელება.

1მაისიდან ჯანმრთელობის სამინისტროს ლიცენზიის საფუძველზე ბაღდატის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ანხორციელებს PSR ტესტირებისთვის ნიმუშის აღებას.საკარანტინე სივრცეში სულ ჩვენს მიერ გატესტილია 622 პირი,96 სამედიცინო პირი (ჯეოჰოსპიტალსი, სასწრაფო სამედიცინო სამსახური,პირველადი ჯანდაცვა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეპიდემიოლოგები და ლაბორანტები).შინაგან საქმეთა სამინისტროს ბაღდათის პოლიცია და საპატრული ქვედანაყოფის 25პირი, მიკროავტობუსის მძღოლი-35,სამაშველო სამსახური-27, აქედან სამედიცინო პერსონალი გატესტილია 5-ჯერ.დღეისთვის სულ ჩატარებულია 1170 ტესტირება, ეს პროცესი გრძელდება ყოველ 14 დღეში.

კვლევისთვის საჭირო ტესტები და ზოგიერთი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს მოეწოდება დაავადებათა კონტროლის ცენტრიდან, ძირითადი ნაწილი ინდივიდუალური დავის საშუალებებსა და სადეზინფექციო ხსნარების შეძენილია ბაღდათის მერიის მიერ, მერია ანხორციელებდა აგრეთვე პანდემიის პერიოდში საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ეპიდემიოლოგების და ლაბორანტების სატრანსპორტო მომსახურეობას, აღებული ნიმუშების ტრანსპორტირებას დაავადებათა კონტროლის ცენტრის ლაბორატორიაში, რომელიც დღესაც გრძელდება. 5 თანამშრომელის ულიმიტო სატელოფონო მომსახურეობას.

გლობალურად პანდემია გრძელდება,სამხრეთ ამერიკის და ევროპის ზოგიერთი ქვეყნის ხარჯზე ყოველდღე110-150000 მდე შემთხვევა, მაგრამ პოზიტიური არის ის რომ სიკვდილობის მაჩვენებელი 7დან ჩამოვიდა 4,9-მდე, გამოჯანმრთელების მაცვენებელი 86%,საქართველოშიდადასტურებულია 1137 შემთხვევა,გამოჯანმრთელებულია 922,გარდაიცვალა 16,კარანტინშია 6503,სტაციონარში მკურნალობს 199 პაციენტი. დაზიანებულ ქვეყნებს შორის საქართველო დღეს რომ ოაზისად გამოიყურება და ხოლო ბაღდათი იმერეთში კიდევ უფრო ოაზისია, ეს არ გვაძლევს დამშვიდების საშუალებას,ამიტომ ყველა ის რეკომენდაცია რომელიც მიიღო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ და შესაბამისად ჩვენი ქვეყნის მთავრობამ, უნდა იქნეს მკაცრად დაცული, რომ მოსალოდნელ მეორე ტალღას შევხვდეთ უფრო მომზადებული.

ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის
დირექტორი: ნატო მაჩიტაძე